



დანართი 2

ვამტკიცებ

*ნ. მჭარაშვილი*


დირექტორი რ. მჭარაშვილი

ბრანქა N 01/01

თარიღი: 04.01.2019 წ



## შპს ორიენტირი



სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება



თბილისი 2019 წ

## მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1 წინამდებარე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულება (შემდგომში წინამდებარე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი დებულებისათვის მოხსენებული როგორც დებულება) შემუშავებულია შპს ორიენტირის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, მათ შორის „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და კანონქვემდებარე აქტების მოთხოვნათა დაცვით და აწესრიგებს პროფესიული სტანდარტის ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებასთან, სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და წარმართვასთან, ასევე პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, აღდგენის, შეწყვეტის, მობილობის (შიდა და გარე), მიღებული არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების წესსა და საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებს.

1.2 წინამდებარე დებულების ნორმების შესრულება სავალდებულოა შპს ორიენტირთან (შემდგომში მოხსენებული როგორც კოლეჯი) სამართლებრივ ურთიერთობაში მყოფი ყველა პირისათვის, წინამდებარე დებულებით დადგენილი მოცულობის გათვალისწინებით.

1.3 წინამდებარე დებულების მიზნებისათვის, კოლეჯთან სამართლებრივ ურთიერთობაში მყოფ პირად მიიჩნევა:

ა) კოლეჯის ადმინისტრაციის პერსონალი;

ბ) კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებელთა და პრაქტიკის ხელმძღვანელთა პერსონალი;

დ) კოლეჯის პროფესიული სტუდენტები;

ე) კოლეჯის კონტრაქტორი ფიზიკური და იურიდიული პირები.

1.4 წინამდებარე დებულების ნორმები გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მათი შინაარსი არ ეწინააღმდეგება ზემდგომი სამართლებრივი აქტების ნორმებს.

1.5 ზემდგომ სამართლებრივ აქტებად, წინამდებარე დებულების მიზნებისათვის მიიჩნევა:

ა) საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ნორმატიული აქტები, რომლებიც არეგულირებენ წინამდებარე დებულებაში ასახულ საკითხებს;

ბ) საქართველოს სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები;

გ) კოლეჯის დამფუძნებელთა კრების ოფიციალური გადაწყვეტილებები;

დ) კოლეჯის წესდებისა და დებულების ნორმები.

1.6 წინამდებარე დებულების ნორმებს უპირატესი იურიდიული ძალა აქვს კოლეჯის დირექტორის მიერ მიღებულ ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტებზე - ბრძანებებზე. ამ დებულებაში საკითხის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტისგან განსხვავებულად მოწესრიგება არის კოლეჯთან სამართალურთიერთობაში მყოფი ნებისმიერი პირისთვის ამ აქტის შეცვლის ან გაუქმების მოთხოვნის საფუძველი.

## **მუხლი 2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა**

2.1. კოლეჯი ახორციელებს მესამე, მეოთხე და მეხუთე საფეხურის პროფესიული სტანდარტის საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო (შემდგომში მოხსენებული, როგორც საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა) და ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ (შემდგომში მოხსენებული, როგორც მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა) III, IV და V საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

2.2. საგნობრივი ან/და მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა – ეს არის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც ორიენტირებულია პრაქტიკული ცოდნისა და უნარების გამომუშავებაზე და სრულდება შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭებით. როგორც საგნობრივი, ასევე მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განისაზღვრება პროგრამის სახელწოდება, მიზნები, მოცულობა, სტრუქტურა, სწავლის ხანგრძლივობა, სწავლის შედეგები, რომელიც შესაბამისობაშია პროფესიული განათლების ჩარჩო დოკუმენტთან ან/და პროფესიულ სტანდარტთან, პროფესიული სტუდენტის დატვირთვა კრედიტებში, სწავლების მეთოდები და შეფასების ფორმები, სარეგისტრაციო ნომერი, პროფესიული კვალიფიკაციის დონე ევროპული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით, მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია, დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია განმახორციელებელი პერსონალის შესახებ და ა.შ..

2.3 მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას თან ერთვის შესაბამისი მოდულები, რომელიც თემატურად ერთიანდება სხვადასხვა ჯგუფში, მათ შორის ზოგადსაველდებლო, პროფესიული სავალდებულო და არჩევითი მოდულების ჯგუფებში.

2.4 მოდული წარმოადგენს მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განუყოფელ ნაწილს და მტკიცდება პროგრამასთან ერთად კოლეჯის დირექტორის შიდა სამართლებრივი აქტის - ბრძანების საფუძველზე.

2.5 საგნობრივ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას - კურიკულუმს თან ერთვის შესაბამისი სასწავლო კურსის პროგრამები - სილაბუსები. სილაბუსი წარმოადგენს საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განუყოფელ ნაწილს და მტკიცდება საგნობრივ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამასთან ერთად, კოლეჯის დირექტორის შიდა სამართლებრივი აქტის - ბრძანების საფუძველზე.

2.6 კოლეჯის მიერ განხორციელებულ როგორც მოდულურ, ასევე საგნობრივ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ხელმძღვანელობს შესაბამისი დარგის სპეციალისტი - პროგრამის ხელმძღვანელი.

2.7 პროგრამის ხელმძღვანელი წარმართავს როგორც მოდულური, ასევე საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შედგენის/ადაპტირების, მასში ცვლილებების შეტანის პროცესს, მონიტორინგს უწევს როგორც მოდულური, ასევე საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პროცესს, ხელმძღვანელობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმებით მოდულების კალენდარული გეგმების შედგენის პროცესს, რომელიც მიმდინარეობს შესაბამისი მოდულის განხორციელების დაწყებამდე ერთი კვირით ადრე.

2.8 მოდულურ ან/და საგნობრივ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი შესაბამის პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად, პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და პრაქტიკის ხელმძღვანელების ჩართულობით, ასევე შესაძლებელია ჩართული იყოს პოტენციური დამსაქმებელი/დამსაქმებლები.

2.9 მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ადაპტირება/დანერგვისთვის დირექტორის შიდა სამართლებრივი აქტის - ბრძანების საფუძველზე იქმნება სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, შესაბამისი მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი და მოდულური პროგრამის განმახორციელებელი პირები - პროფესიული განათლების მასწავლებლები და პრაქტიკის ხელმძღვანელები, შესაძლებელია შიდა სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდეს პოტენციური დამსაქმებელი/დამსაქმებლები

### **მუხლი 3. ცვლილებები საგნობრივ ან/და მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში**

3.1. პროფესიულ სტანდარტზე ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების შეტანა ხდება მისი მიღებისათვის გათვალისწინებული პროცედურით, მოქმედი კანონმდებლობის, კოლეჯის შიდა სამართლებრივი აქტებისა და პროფესიული სტანდარტის/პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის მოთხოვნათა დაცვით.

3.2 შეცვლილი რედაქციის პროფესიულ სტანდარტზე ან/და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მტკიცდება კოლეჯის დირექტორის ბრძანებით.

3.3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების განხორციელების შემდეგ კოლეჯი

ახორციელებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინფორმირებას ცვლილებების განხორციელებიდან ერთი თვის ვადაში, თუკი ცვლილება შეეხება შემდეგს:

ა) კოლეჯის მიერ ავტორიზაციის მინიჭების მომენტიდან პროფესიული განათლების მასწავლებლების საერთო რაოდენობის ცვლილებამ მიაღწია 10%-ს;

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, გარდა აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამებისა, სწავლის შედეგების ცვლილება. ასევე წარუდგინოს საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ცვლილებების განხორციელების შესახებ გამოცემული აქტი.

3.4. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის იმ ნაწილში ცვლილებების განხორციელების სურვილის შემთხვევაში, რომლის ცვლილებების განხორციელების უფლებამოსილება დამოუკიდებლად არ გააჩნია კოლეჯს, წერილობითი ფორმით ეცნობება განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრს.

#### **მუხლი 4. პროფესიული სტუდენტი**

4.1 შპს ორიენტირის პროფესიული სტუდენტი არის პირი, რომელიც ჩარიცხულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით პროფესიულ საგანმანათლებლო/საგნობრივ პროგრამაზე ან/და მოდულურ პროგრამებზე.

4.2. პროფესიულ სტუდენტთან შპს ორიენტირის დირექტორის მიერ ფორმდება სასწავლო ხელშეკრულება, რომელშიც გაწერილია პროფესიულ სტუდენტთა უფლება-მოვალეობები და სხვა საკითხები, რაც დაკავშირებულია საგანმანათლებლო საქმიანობის სამართლებრივი მხარის დეტალურად მოწესრიგებასთან.

#### **მუხლი 5. კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია**

5.1 კონკრეტულ მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გამოსათვლელად კოლეჯი ითვალისწინებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკას, მათ მოთხოვნებს, ადამიანურ და მატერიალურ რესურსს.

5.2. კოლეჯს სასწავლო პროცესის წარმართვისათვის საკუთრებაში აქვს შენობა-ნაგებობა.

5.3. კოლეჯში არსებობს შემდეგი ტიპის სასწავლო გარემო:

5.3.1 A ტიპის სასწავლო გარემო - სასწავლო სივრცე შენობის შიგნით, თეორიული მეცადინეობების და ჯგუფური მუშაობისათვის, აღჭურვილია პროფესიული სტუდენტების და პროფესიული განათლების მასწავლებლების მაგიდებით და სკამებით, დაფით, კომპიუტერული ტექნოლოგიებით, მათ შორის კომპიუტერის კომპლექტით და დემონსტრირების ციფრული საშუალებით;

5.3.2 B ტიპის სასწავლო გარემო - სასწავლო სივრცე შენობის შიგნით, კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია პროგრამების მოთხოვნების შესაბამისი კომპიუტერებით, ქსელური პრინტერით და დემონსტრირების ციფრული საშუალებით;

5.3.3. C ტიპის სასწავლო გარემო - სპეციფიკური სასწავლო გარემო შენობის შიგნით, სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის. ნორმატივები დადგენილია ინდივიდუალურად მოდულების/სასწავლო კურსების შესაბამისად.

5.3.4 AB ტიპის სასწავლო გარემო - ერთ სივრცეში ერთდროულად განთავსებული A და B სასწავლო გარემო - თეორიული მეცადინეობების და ჯგუფური მუშაობისათვის და კომპიუტერული ლაბორატორიისათვის - სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად, მოდულების/სასწავლო კურსების მოთხოვნების გათვალისწინებით.

5.3.5 AC ტიპის სასწავლო გარემო - ერთ სივრცეში ერთდროულად განთავსებული A და C ტიპის სასწავლო გარემო - თეორიული მეცადინეობების და ჯგუფური მუშაობისათვის და პრაქტიკული კომპონენტის განსახორციელებლად; ნორმატივები დადგენილია ინდივიდუალურად მოდულების/სასწავლო კურსების შესაბამისად.

5.4 კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:

ა) მოდულის განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო (A, B, C, AB და AC) გარემო;

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა;

გ) პრაქტიკის ობიექტების რესურსი;

დ) მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა - 20 პროფესიულ სტუდენტზე კოლეჯს ჰყავს მინიმუმ ერთი პროფესიული განათლების მასწავლებელი;

5.5. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის უმეტესი ნაწილი შესაძლებელია ითვალისწინებდეს პრაქტიკის კომპონენტს, რომელიც ხორციელდება პრაქტიკის ობიექტზე, ღია სივრცეში, შესაბამისად A სასწავლო გარემო ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი საშუალოდ დატვირთულია 50%-ით, რაც კოლეჯს საშუალებას აძლევს A სასწავლო გარემოში ერთ ცვლაში მიიღოს პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების ორმაგი, ხოლო ორ ცვლაში - ოთხმაგი რაოდენობა.

5.6 B სასწავლო გარემოში პროფესიული სტუდენტი წლიური 60 კრედიტიდან შესაძლებელია ითვისებდეს საშუალოდ 3 კრედიტს, შესაბამისად B სასწავლო გარემო ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში დატვირთულია საშუალოდ 5%-ით, რაც კოლეჯს საშუალებას აძლევს B სასწავლო გარემოში ერთ ცვლაში მიიღოს პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების ოცმაგი, ხოლო ორ ცვლაში - ორმოცმაგი რაოდენობა.

5.7 წინამდებარე მუხლის 5.5 და 5.6 პუნქტებით განსაზღვრული რაოდენობებიდან უმცირესის მიხედვით ხორციელდება პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრა.

5.8 ერთ ჯგუფში პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განისაზღვრება სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობის შესაბამისად.

5.9 დასაშვებია სხვადასხვა პროგრამის მოდულის/სასწავლო კურსების განხორციელების მიზნებისათვის ერთიდაიმავე სივრცის გამოყენება თუ ის თავსებადია სასწავლო გარემოს და ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების თვალსაზრისით, კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით, მაქსიმუმ ორცვლიანი მუშაობის რეჟიმში.

5.10 პრაქტიკული კომპონენტი ითვალისწინებენ სტუდენტის დატვირთვას პრაქტიკის ობიექტზე რეალურ სამუშაო გარემოში, რომლის თაობაზე კოლეჯს გაფორმებული აქვს პრაქტიკის ობიექტებთან შესაბამისი ხელშეკრულებები/მემორანდუმები;

5.11. კონტიგენტის განსაზღვრა ხდება თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, პროგრამის ხანგძლივობის, სასწავლო გარემოს, აღჭურვილობის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, პრაქტიკის ობიექტებზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა და პროფესიული განათლების მასწავლებლების/პრაქტიკის ხელმძღვანელების რაოდენობის შესაბამისად და მტკიცდება დირექტორის შიდა სამართლებრივი აქტის - ბრძანების საფუძველზე.

5.12. მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით გადაწყვეტილებას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ წინამდებარე მუხლით დადგენილი პირობების ფარგლებში გამოინგარიშებს კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ასახავს შესაბამის განაცხადში.

### **მუხლი 6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება**

6.1 პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება შესაძლებელია საქართველოს კანონმდებლობის, მათ შორის „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის და თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული დაშვების წინაპირობის გათვალისწინებით. დაშვების წინაპირობა შესაბამისობაშია პროფესიული სტანდარტით ან/და ჩარჩო დოკუმენტით განსაზღვრულ დაშვების წინაპირობასთან. კონკურსის არსებობის შემთხვევაში, კოლეჯის დირექტორის მიერ განისაზღვრება დამატებითი პირობა, რომელიც განისაზღვრება წინამდებარე დებულების 6.8 პუნქტით.

6.2 კოლეჯის დირექტორი ბრძანებით აცხადებს მიღებას კონკრეტულ საგნობრივ ან/და მოდულურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განსაზღვრული მისაღები კონტიგენტის ფარგლებში. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების პროცედურები და ვადები განისაზღვრება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით - ბრძანებით, რომლის საჯაროობა და ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფილია;

6.3 პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების პროცედურებისა და ვადების შესახებ, კოლეჯის დირექტორის ბრძანებაში განისაზღვრება შემდეგი:

6.3.1 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ზუსტი დასახელება, სწავლის საფასური, თითოეულ პროფესიულ პროგრამებზე ადგილების რაოდენობა, პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების მსურველი პირის მიერ დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადები;

6.3.2 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები;

6.3.3 წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათავალი:

ა) პირადი (არასრულწლოვანი პირის შემთხვევაში – კანონიერი წარმომადგენლის) განცხადება;

ბ) პასპორტი/პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (არასრულწლოვანის შემთხვევაში დაბადების მოწმობის ასლი და კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი);

გ) საბაზო ან/და სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი ან განათლების დამადასტურებელი ის დოკუმენტი, რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ან სრული ზოგადი განათლების დაძლევის გარეშე.;

დ) მომდევნო საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შემთხვევაში – წინა საფეხურის პროფესიული დიპლომი ან მასთან გათანაბრებული სხვა დოკუმენტი.

6.4. საზღვარგარეთ მიღებული განათლების შემთხვევაში წინამდებარე მუხლის მესამე პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების გარდა პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების მსურველი პირი ვალდებულია დამატებით წარმოადგინოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტი.

6.5. წინამდებარე მუხლის მესამე პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში პირი ვალდებულია წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ მიენიჭება პროფესიული სტუდენტის სტატუსი.

6.6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭების შესახებ კოლეჯის დირექტორის მიერ გამოიცემა შიდა სამართლებრივი აქტი - ბრძანება და ფორმდება მასთან სასწავლო ხელშეკრულება, თუკი პროფესიული სტუდენტის სტატუსის მფლობელი პირი არასრულწლოვანია, სასწავლო ხელშეკრულება ფორმდება მის კანონიერ წარმომადგენელთან.

6.7. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მინიჭების შესახებ კოლეჯის დირექტორის მიერ ბრძანების გამოცემისა და მასთან სასწავლო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, არაუგვიანეს 5 დღის ვადაში შესაბამისი მონაცემები უნდა აისახოს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა ელექტრონულ მონაცემთა ბაზებში, კოლეჯის უფლებამოსილი თანამშრომლის მიერ.

6.8. იმ შემთხვევაში თუ კი კოლეჯში განაცხადი შემოიტანა პროფესიულ სტუდენტთა სტატუსის მოპოვების მსურველთა იმ რაოდენობამ, რომელიც აღემატება წინასწარ განსაზღვრულ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამატებით განისაზღვრება საკონკურსო პირობები, რომელიც მოიცავს ტესტირების ფორმით ზოგადი უნარ-ჩვევების დამადასტურებელი გამოცდის ჩაბარებას. საგამოცდო მასალები წინასწარ მტკიცდება დირექტორის ბრძანების საფუძველზე.

6.9. სასწავლო პროცესის დაწყების თარიღი განისაზღვრება დირექტორის ბრძანების საფუძველზე.

6.10. III საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო საგნობრივ პროგრამებზე ჩარიცხება პირი, რომელსაც დაძლეული აქვს ზოგადი განათლების საბაზო საფეხური და აკმაყოფილებს პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებულ დამატებით მოთხოვნებს.

6.11. IV ან V საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო საგნობრივ პროგრამებზე თუ მათ არ გააჩნია წინა საფეხური, ჩარიცხება პირი, რომელსაც მიღებული აქვს სრული ზოგადი განათლების დოკუმენტი და აკმაყოფილებს პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებულ დამატებით მოთხოვნებს.

6.12. III საფეხურზე საბაზო განათლების დოკუმენტის საფუძველზე ჩარიცხული პირი უფლებამოსილია გააგრძელოს სწავლა იმავე პროფესიულ საგანმანათლებლო საგნობრივ ან/და მოდულურ პროფესიულ პროგრამაზე მე-4 და მე-5 საფეხურზე სრული ზოგადი განათლების დოკუმენტის წარდგენის გარეშე.

6.13. შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართულობის მიზნით ასეთი პირები მოდულებზე დაიშვებიან მოდულის წინაპირობის/წინაპირობების დაძლევის გარეშე.



### **მუხლი 7. პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვება არაქართულენოვანი პირებისათვის**

7.1. ქართული ენა A2 და ქართული ენა B1 მოდულების ფარგლებში მისაღწევი სწავლის შედეგები მიღწეულად ჩაეთვლება პირს, რომელსაც საბაზო/სრული ზოგადი განათლება მიღებული აქვს ქართულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ქართულ ენაზე.

7.2 პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების მსურველი, რომელსაც საბაზო ან/და სრული ზოგადი განათლება მიღებული აქვს არაქართულ ენაზე, მაგრამ სულ მცირე B2 დონეზე ფლობს ქართულ ენას, ვალდებულია მიმღები კომისიის წინაშე ჩააბაროს შესაბამისი გამოცდა ქართულ ენაში ცოდნის დონის დადასტურების თაობაზე.

7.3 ქართულ ენაში ცოდნის დონის განმსაზღვრელ საგამოცდო მასალებს/ტესტებს ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი ბრძანების გამოცემის გზით.

7.4 პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოპოვების მსურველი პირი, რომელსაც საბაზო ან/და სრული ზოგადი განათლება მიღებული აქვს არაქართულ ენაზე და არ ფლობს ქართულ ენას B2 დონეზე, ვალდებულია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა გაიაროს არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტების სასწავლო გეგმით, რომლის ფარგლებშიც სწავლა იწყება ქართული ენის შესაბამისი მოდულებით.

### **მუხლი 8. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება**

8.1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერებად ითვლება კოლეჯის და პროფესიული სტუდენტის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან დროებით გათავისუფლება პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის გარეშე;

8.2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) უცხოეთში წასვლა;

გ) სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემა განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლამდე, თუ აღკვეთის ღონისძიების სახით გამოყენებულია პატიმრობა;

დ) პროფესიული სტუდენტის მიერ კოლეჯთან კავშირის გაწყვეტა, შესაბამისი მიზეზების დადგენამდე;

ე) სწავლის საფასურის დადგენილ ვადებში გადაუხდელობა;

ვ) სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევა;

ზ) მძიმე ავადმყოფობა;

თ) ორსულობისა და ახალშობილის მოვლა;

ი) კოლეჯის შინაგანაწესით დადგენილი გადაცდომის ჩადენა;

კ) მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

8.3. პირისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება ფორმდება კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე.

8.4. ბრძანების ასლი უნდა გადაეცეს დაინტერესებულ მხარეს (სტატუს შეჩერებულ პროფესიულ სტუდენტს ან მის კანონიერ წარმომადგენელს).

8.5. იმ შემთხვევებში, როდესაც ვერ დგინდება პროფესიული სტუდენტის ადგილსამყოფელი, ბრძანება სტატუსის შეჩერების თაობაზე უნდა გამოქვეყნდეს საჯაროდ, მათ შორის, კოლეჯის ვებ-გვერდის მეშვეობით.

- 8.6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში სწავლისათვის გადახდილი თანხა არ უბრუნდება, მაგრამ სწავლის გაგრძელებისას ჩაეთვლება სწავლის საფასურში;
- 8.7. სტატუსის შეჩერების პერიოდში დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის უფლებრივი მდგომარეობის გაუარესება ან დამატებითი პირობების დაწესება აღდგენისათვის;
- 8.8. პირი, რომელსაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი აქვს შეჩერებული, თუ მოითხოვს პირად საქმეში არსებულ დოკუმენტაციას, კოლეჯი უზრუნველყოფს მის მიწოდებას მოთხოვნიდან სამ სამუშაო დღეში.
- 8.9. პროფესიულ სტუდენტს სტატუსი შესაძლოა შეუჩერდეს არაუმეტეს 2 წლის ვადით.
- 8.10. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების ბრძანებით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, სასწავლო პროცესში დაუბრუნებლობის შემთხვევაში, ან იმ შემთხვევაში, თუ არ იქნა აღმოფხვრილი ის გარემოებები, რომლებიც გახდა პირისათვის პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველი, პირს უწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი.
- 8.11. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ ბრძანების გამოცემიდან არაუგვიანეს ხუთი დღისა მონაცემები შეიტანება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.

### **მუხლი 9. პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა**

- 9.1 პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია იმავე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, თუ აღმოფხვრილი იქნება სტატუსის შეჩერების საფუძველი.
- 9.2 პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძვლის აღმოფხვრის შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი სწავლას აგრძელებს ინდივიდუალური გეგმით პროგრამის იმ ეტაპიდან როდესაც მას შეუჩერდა სტუდენტის სტატუსი.
- 9.3 პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ჩაეთვლება სტატუსის შეჩერებამდე ათვისებული კრედიტები და სწავლის გადახდილი საფასური;
- 9.4 პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის შესახებ გამოიცემა დირექტორის ბრძანება და მისი გამოცემიდან არაუგვიანეს ხუთი დღისა მონაცემები შეიტანება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.

### **მუხლი 10. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა**

- 10.1. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა გულისხმობს პირის სასწავლო პროცესში მონაწილეობისაგან და პროფესიული სტუდენტის სხვა უფლებება-მოვალეობებისაგან განთავისუფლებას.
- 10.2. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:
- ა) პირადი განცხადება;
  - ბ) საგნობრივი ან მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება მოცემულ საფეხურზე;
  - გ) მოდულური ან საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგის მიღწევის შეუძლებლობა აკადემიური მოუსწრებლობის გამო.

დ) კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენი, თუ სასჯელის სახით დანიშნულია თავისუფლების აღკვეთა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით;

ე) დაწესებულების შინაგანაწესის განსაზღვრული სხვა შემთხვევები.

ვ) გარდაცვალება.

10.3. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გამოიცემა დირექტორის ბრძანება და მისი გამოცემიდან არაუგვიანეს ხუთი დღისა მონაცემები შეიტანება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.

10.4. ბრძანების ასლი უნდა გადაეცეს დაინტერესებულ მხარეს (სტატუს შეწყვეტილ პროფესიულ სტუდენტს ან მის წარმომადგენელს).

10.5. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა იწვევს პროფესიულ სტუდენტთან დადებული ხელშეკრულების მოშლას;

10.6. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა არ ანთავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულების მოშლამდე წარმოშობილი და შეუსრულებელი ურთიერთვალდებულებების შესრულებისგან.

10.7. პირს, რომელსაც შეუწყდება პროფესიული სტუდენტის სტატუსი და მოითხოვს პირად საქმეში არსებულ დოკუმენტაციას კოლეჯი უზრუნველყოფს მის მიწოდებას მოთხოვნიდან ხუთ სამუშაო დღეში;

10.8. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.9. პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა შესაძლებელია გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### **მუხლი 11. მობილობა**

11.1 კოლეჯში მობილობის განხორციელება შესაძლებელია შემდეგ შემთხვევებში:

ა) თუ კოლეჯის პროფესიულ სტუდენტს სურს სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელება (შიდა მობილობა) ან სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლა (გარე მობილობა);

ბ) თუ სხვა დაწესებულების პროფესიულ სტუდენტს სურს გადმოსვლა კოლეჯში არსებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გასაგრძელებლად.

11.2 მობილობა შესაძლებელია ნებისმიერ დროს. ამის შესახებ პროფესიულმა სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს კოლეჯის ადმინისტრაციას.

11.3 მობილობის მსურველმა პირმა განცხადებით უნდა მიმართოს კოლეჯს, რასაც თან უნდა დაურთოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) პირადი საქმე;

ბ) ცნობა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში უკვე ათვისებული/აღიარებული კრედიტების შესახებ ან პროფესიული სტუდენტის ბარათი, დამოწმებული უფლებამოსილი პირის ხელმოწერით და ბეჭდით.

11.4 მობილობის განხორციელებამდე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ვალდებულია შეამოწმოს პროფესიული სტუდენტის მონაცემების შესაბამისობა პროგრამის ჩარიცხვის წინაპირობებთან, ასევე ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ გავლილი

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების შესაბამისობას დაწესებულების ანალოგიურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებთან, სტუდენტის ჩარიცხვის კანონიერების საკითხს, გავლილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აღიარების შესაძლებლობის საკითხს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად და ამზადებს დასკვნას მობილობის მსურველის მიერ ათვისებული კრედიტების აღიარების თაობაზე, რასაც მოხსენებითი ბარათის სახით წარუდგენს დირექტორს.

11.5 მოდულური პროგრამაზე მობილობისას, პირი წარმოადგენს მის მიერ გავლილი მოდულების გავლის დამადასტურებელ ან ცალკეული სწავლის შედეგების დადასტურების დოკუმენტს და დაწესებულება ავტომატურად ჩაუთვლის მას გავლილ მოდულებს/სწავლის შედეგებს;

11.6 მობილობის დროს, მოდულის სწავლის შედეგების მიღწევის სრულად დადასტურების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს ავტომატურად ჩაეთვლება მოდულის გავლა.

11.7 პროფესიული სტუდენტის მობილობის შესახებ გამოიცემა დირექტორის ბრძანება და მისი გამოცემიდან არაუგვიანეს ხუთი სამუშაო დღისა მონაცემები შეიტანება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა რეესტრში.

## **მუხლი 12. სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარება**

12.1. საქართველოს სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული კრედიტების ჩათვლა ხორციელდება კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის და შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელის მიერ, პროფესიული სტუდენტის მიღებული ცოდნის, უნარებისა და ფასეულობების პროფესიულ სტანდარტთან და პროფესიულ საგანმანათლებლო/საგნობრივ პროგრამებზე შესაბამისობის დადგენის გზით.

12.2. თუ პროფესიულ საგანმანათლებლო/საგნობრივი პროგრამის უკვე ათვისებული კომპონენტის სახელწოდება მცირედით განსხვავდება კოლეჯის პროფესიულ საგანმანათლებლო/საგნობრივი პროგრამის კომპონენტისაგან, თუმცა შინაარსობრივად სწავლის შედეგები იდენტურია, ის აღიარებული იქნება მიმღები დაწესებულების მიერ.

12.3. თუ პროფესიულ საგანმანათლებლო/საგნობრივი პროგრამის უკვე ათვისებული კომპონენტის სახელწოდება იდენტურია დაწესებულების პროფესიულ საგანმანათლებლო/საგნობრივი პროგრამის კომპონენტისა, ის ავტომატურად იქნება აღიარებული.

12.4. მოდულური პროგრამის ფარგლებში მიღებული განათლების აღიარება მოხდება გავლილი მოდულების ან ცალკეული სწავლის შედეგების დადასტურების დოკუმენტის წარმოდგენის შემთხვევაში.

12.5. მოდულური პროგრამის შემთხვევაში მიღებული განათლების აღიარება დარეგულირდება დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის საფუძველზე;

### **მუხლი 13. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება**

13.1. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება დასაშვებია I-III საფეხურის ფარგლებში ყველა პროფესიისათვის, გარდა რეგულირებადი პროფესიებისა.

13.2. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების დროს ხდება პროფესიული განათლების შესაბამისი საფეხურისათვის პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნის, უნარებისა და ღირებულებების შემოწმება.

13.3. არაფორმალური განათლების აღიარებისასთან დაკავშირებული საკითხები, რომელიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე დებულებით, საჭიროების შემთხვევაში საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დარეგულირდება დირექტორის ბრძანებით.

### **მუხლი 14. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა**

14.1. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროება არის მაშინ როცა:

ა) სსსმ პირი, სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მაგრამ ვერ აღწევს სწავლის შედეგებს;

ბ) მობილობით გადმოსული პირი, რომლის სწავლის შედეგები განსხვავებული აქვს კოლეჯის შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებთან;

გ) პირი რომელსაც პროფესიული სტუდენტის სტატუსი შეჩერებული ჰქონდა ერთ თვეზე მეტხანს და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას;

14.2. წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გარემოების არსებობისას, პროფესიული განათლების მასწავლებელი წერილობით მიმართავს ადმინისტრაციას, რის საფუძველზეც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხორციელდება სასწავლო პროცესზე დასწრება - დაკვირვების მიზნით, თუ ფაქტი დადასტურდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებელთან ერთად 5 სამუშაო დღეში შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და წარუდგენს დასამტკიცებლად კოლეჯის დირექტორს.

14.3. წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გარემოების არსებობისას, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის მიერ ხდება ინდივიდუალური საჭიროებების დადგენა თითოეული სასწავლო კურსის/მოდულის ფარგლებში წინამდებარე დებულებით განსაზღვრული პროფესიულ სტუდენტთან მობილობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმებით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით. რის საფუძველზეც, ინდივიდუალური სიტუაციიდან გამომდინარე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად 5 სამუშაო დღეში შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას და წარუდგენს დასამტკიცებლად კოლეჯის დირექტორს.

14.4. წინამდებარე მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით განსაზღვრული გარემოების გამოვლენისას, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად ამოწმებს პროფესიული სტუდენტის მიერ ათვისებული პროგრამის სწავლის შედეგებს და შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესაბამისად პროფესიული სტუდენტის საჭიროებების გათვალისწინებით, რათა მოხდეს სტატუს ადგენილი სტუდენტის ჩართვა სასწავლო პროცესში ასათვისებელი სასწავლო კურსების წინაპირობების დაცვით. შეიმუშავებული ინდივიდუალურ სასწავლო გეგმა 5 სამუშაო დღის ვადაში წარედგინება კოლეჯის დირექტორს.

### **მუხლი 15. მოდულური ან/და საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების წესი**

15.1 მოდულური ან/და საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ბრძანების გამოცემის გზით, რომელშიც დეტალურად აისახება ამ პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების შემდგომი სამართალურთიერთობა კოლეჯთან, მათ შორის მათი შემდგომი უზრუნველყოფა პროფესიული განათლებით და ამ პროგრამის რესურსების გადანაწილების წესი, პროფესიული სტუდენტის ინტერესების დაცვით.

15.2. საგნობრივი ან/და მოდულური პროფესიული პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარებას.

15.3. საგნობრივი ან/და მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლა გულისხმობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებში გარკვეული ცვლილებების შეტანას, რაც მიზნად ისახავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობაში მოყვანას კანონმდებლობის ახალ მოთხოვნებთან ან პროფესიული სტანდარტით ან/და ჩარჩო დოკუმენტით დადგენილი კომპეტენციების ათვისების პროცესის გაუმჯობესებასთან.

15.4. საგნობრივი და მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციასთან, რომელიც აერთიანებს ყველა იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომლებიც ანხორციელებენ ანალოგიურ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებს.

15.5. მოდულური პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფა განხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

15.6. კოლეჯი ვალდებულია დაასრულებინოს პროფესიულ სტუდენტს ის სასწავლო კომპონენტი, რომლის შესწავლაც დაწყებულია და მხოლოდ ამის შემდეგ შეცვალოს ან/და გააუქმოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

15.7. საგნობრვი ან/და მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში კოლეჯი ვალდებულია ხელი შეუწყოს პროფესიული სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფას შემდეგი მექანიზმების გამოყენებით:

ა) ხელი შეუწყოს პროფესიული სტუდენტის მობილობის პროცესს. ასეთი შემთხვევებისათვის კოლეჯი აფორმებს ხელშეკრულებას/მემორანდუმს სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, რომლებიც ახორციელებენ ანალოგიურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს.

ბ) შესთავაზოს პროფესიულ სტუდენტს ამავე ან სხვა დაწესებულებაში, იმავე ან მსგავსი მიმართულებისა და სპეციალობის ფარგლებში განხორციელებულ სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე გადასვლა მობილობის წესით;

გ) თუ ამ მუხლის ა) და ბ) პუნქტების პირობების შესრულება ვერ ხორციელდება, დაწესებულება ვალდებულია პროფესიულ სტუდენტს დაასრულებინოს შესაბამისი საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და არ გააუქმოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

### **მუხლი 16. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი საგნობრვი პროგრამისათვის**

16.1. საგნობრივ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე კრედიტის მინიჭება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

16.2. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90%;

ა.გ) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80%;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70%;

ა.ე) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60%;

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ პროფესიულ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ პროფესიული სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

16.3. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია.

16.4. დაუშვებელია პროფესიული სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად – მხოლოდ დასკვნითი გამოცდის საფუძველზე შეფასება. შეფასება უნდა ითვალისწინებდეს:

ა) შუალედურ შეფასებას

ბ) დასკვნითი გამოცდის შეფასებას.

16.5. შუალედურ ან დასკვნით გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს მოთხოვნის საფუძველზე საშუალება ეძლევა ერთხელ გავიდეს დამატებით შუალედურ ან დასკვნით გამოცდაზე.

16.6. პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, გავიდეს დამატებით გამოცდაზე დასკვნით გამოცდაზე უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, ძირითადი გამოცდიდან არანაკლებ 10 დღეში.

16.7. შუალედური ან/და დასკვნითი გამოცდის შეფასების კრიტერიუმები ცალკეული სასწავლო კომპონენტისათვის შედგენილია ინდივიდუალურად, მისაღწევი სწავლის შედეგების შესაბამისად და დეტალურად გაწერილია სილაბუსებში.

16.8. თეორიული და პრაქტიკის კომპონენტის შეფასება ფორმდება შესაბამისი შეფასების უწყისებით.

### **მუხლი 17. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება მოდულური პროგრამების შემთხვევაში**

17.1. მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში კრედიტის მინიჭება ხდება მოდულით განსაზღვრული სწავლის შედეგების დადასტურების საფუძველზე.

17.2. შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.

17.3. განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

17.4. განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

17.5. სწავლის შედეგი დადასტურებულად ითვლება, თუ შესაფასებელი პირი დადებითად შეფასდა შეფასების მიმართულებისა და კრიტერიუმის მიხედვით.

17.6. სწავლის შედეგის დადასტურება ერთი პროგრამის ფარგლებში მხოლოდ ერთხელ ხდება.

17.7. შესაძლებელია რამდენიმე სწავლის შედეგის ერთდროულად დადასტურება.

17.8. თუ პროფესიულმა სტუდენტმა განმსაზღვრელი შეფასებისას ვერ დაადასტურა სწავლის შედეგი იმ მოდულზე, რომელიც წარმოადგენს დაშვების წინაპირობას სხვა მოდულისათვის, პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს გავიდეს დამატებით გამოცდაზე მაქსიმუმ 2-ჯერ ამ მოდულის დაწყებამდე.

17.9. დამატებით გამოცდაზე ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან შეთანხმების საფუძველზე მოდულის ხელმძღვანელი პროფესიული განათლების მასწავლებელი/პრაქტიკის ხელმძღვანელი შეიმუშავებს ახალი შეფასების ინსტრუმენტს. დაუშვებელია განმეორებით გამოცდაზე იგივე შეფასების ინსტრუმენტის გამოყენება.

17.10. ერთიდაიგივე მოდულის ფარგლებში სწავლის შედეგის დაუდასტურებლობისას (2-ჯერ დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლების გამოყენების შემდეგ), პროფესიული სტუდენტი ვალდებულია თავიდან გაიაროს მოცემული მოდული.

17.11. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში (მათ შორის დამატებით გამოცდაზე/ებზე) პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს თავიდან გაიაროს



მოცემული მოდული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებამდე, თუკი ის მოდული რომელზეც პროფესიულმა სტუდენტმა მიიღო უარყოფითი შეფასება არ წარმოადგენს დაშვების წინაპირობას სხვა მოდულებისათვის.

17.12 თუ ის მოდული რომელზეც პროფესიულმა სტუდენტმა მიიღო უარყოფითი შეფასება წარმოადგენს დაშვების წინაპირობას სხვა მოდულებისათვის, მოცემულ მოდულზე პროფესიული სტუდენტისათვის დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომლის ფარგლებში მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, პროფესიული სტუდენტი დაჩქარებულ რეჟიმში ხელახლა შეისწავლის მოცემულ მოდულს.

17.13 პროფესიული სტუდენტი, რომელიც ინდივიდუალური სასწავლო გეგმით ხელახლა გადის იმ მოდულს, რომლის ფარგლებშიც მიიღო უარყოფითი შეფასება (მათ შორის განმეორებით გამოცდაზე/ებზე) პარალელურად უფლება აქვს გაიაროს ის მოდული/ები, რომლისთვისაც/ებისთვისაც მოცემული მოდული არ წარმოადგენს დაშვების წინაპირობას.

17.14. კალენდარულ გეგმას და შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავებს პროფესიული განათლების მასწავლებელი/პრაქტიკის ხელმძღვანელი მოდულის დაწყებამდე ერთი კვირით ადრე, რომელსაც განიხილავს და ვალიდაციის შემთხვევაში, შესაბამისი წარწერით „შეთანხმებულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან“ ადასტურებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი. შენიშვნების არსებობის შემთხვევაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური კალენდარულ გეგმას ან/და შეფასების ინსტრუმენტს უკან უბრუნებს პროფესიული განათლების მასწავლებელს/პრაქტიკის ხელმძღვანელს სასწავლო პროცესის განხორციელების დაწყებამდე მათ გასათვალისწინებლად/ასასახად.

17.15. მტკიცებულება წარმოადგენს შესაფასებელი პირის მიერ სწავლის შედეგის მიღწევის მატერიალურ ან ციფრული სახით დადასტურებას;

17.16. მტკიცებულებების შეგროვებაზე პასუხისმგებლობა ეკისრება პროფესიული განათლების მასწავლებელს/პრაქტიკის ხელმძღვანელს. მტკიცებულებები უნდა მოიცავდეს შესაფასებელი პირის იდენტიფიცირების საშუალებას.

17.17. პროფესიული განათლების მასწავლებელს/პრაქტიკის ხელმძღვანელი მტკიცებულებებს ათავსებს პროფესიული სტუდენტის პორტფოლიოში, ხოლო მოდულის დასრულების შემდეგ გადასცემს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს.

17.18. კოლეჯი ვალდებულია მოდულების შედეგების შეფასების მტკიცებულებები შეინახოს მოდულური პროგრამის დასრულებამდე/ კვალიფიკაციის მინიჭებამდე/სტატუსის შეწყვეტამდე.

17.19. სწავლის შედეგების დადასტურების უწყისები პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე ინახება პორტფოლიოში, ხოლო კვალიფიკაციის მინიჭების შემდეგ გადაეცემა არქივს და ინახება უვადოდ.

## **მუხლი 18. პროფესიული სტუდენტისათვის შედეგის დადასტურების/შეფასების აპელაციის პროცედურა**

18.1. პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია შედეგის დადასტურების/შეფასების შედეგის არასამართლიანად ჩათვლის შემთხვევაში, გაცნობიდან 2 სამუშაო დღის ვადაში მიმართოს სასწავლო პროცესის სამსახურის ხელმძღვანელს და მოითხოვოს შედეგის დადასტურების/შეფასების გადასინჯვა.

18.2. სასწავლო პროცესის სამსახური საჩივრის მიღების ვადის ამოწურვიდან 2 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყოფს ნაშრომის განხილვას ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელობით პროფესიულ სტუდენტთან და პროფესიული განათლების მასწავლებელთან, რომელიც არ იყო ჩართული სწავლის შედეგების დადასტურების პროცესში.

18.3. გასაჩივრების პროცედურის დასრულების შემდეგ ნაშრომის ასლი, აპელაციის დასკვნასთან ერთად, უბრუნდება სასწავლო პროცესის სამსახურს, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი დასკვნის ასახვას (შეფასების ცვლილების შემთხვევაში) დოკუმენტურად .

### **მუხლი 19. კვალიფიკაციის მინიჭების წინაპირობა**

19.1. პროფესიული კვალიფიკაცია ეს არის პროფესიული სტუდენტის მიერ მოქმედი კანონმდებლობისა და კოლეჯის შიდა სამართლებრივი აქტებით, მათ შორის წინამდებარე დებულებით განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით, პროფესიული ცოდნისა და უნარების ფლობის დადასტურება, რის საფუძველზეც კოლეჯის მიერ გაიცემა შესაბამისი დიპლომი.

19.2. კვალიფიკაცია ენიჭება პროფესიულ სტუდენტს შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების დამლევის შემთხვევაში.

19.3. სწავლის შედეგების დამლევის დადასტურებას ახორციელებს დირექტორის მიერ შექმნილი სპეციალური საკვალიფიკაციო კომისია მოქმედი კანონმდებლობისა და წინამდებარე დებულების მოთხოვნათა დაცვით.

### **მუხლი 20. საკვალიფიკაციო კომისია და კვალიფიკაციის მინიჭება**

20.1. პროფესიული სტუდენტის მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კრედიტების დაგროვებისა და შესაბამისი მოთხოვნების დაკმაყოფილების საფუძველზე, კვალიფიკაციის მინიჭების მიზნით, კოლეჯის დირექტორი ბრძანების გამოცემის გზით ქმნის საკვალიფიკაციო კომისიას (შემდგომში - კომისია).

20.2. კომისიის შემადგენლობაში შეიძლება შევიდნენ:

ა) ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი

ბ) სასწავლო პროცესის მარეგულირებელი სამსახურის ხელმძღვანელი;

გ) შესაბამისი საგნობრივი ან მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;

დ) პრაქტიკის ხელმძღვანელი ან/და პროფესიული განათლების მასწავლებელი.

20.3. საკვალიფიკაციო კომისიის შემადგენლობაში შესაძლებელია სხვა პირების ჩართულობა, აღნიშნულთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს კოლეჯის დირექტორი ბრძანების გამოცემის გზით.

20.4. კომისია იკრიბება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ.

20.5. კომისია შეისწავლის თითოეული პროფესიული სტუდენტის პირად საქმეს, მიღებულ შეფასებებს, დაგროვილ კრედიტებს, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილებას, დაადგენს სწავლის შედეგების დადასტურების საკითხს.

20.6. მოდულური პროგრამების შემთხვევაში, პროფესიული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად პროფესიული სტუდენტის მიერ დადასტურებულ უნდა იქნას მოდულებით

გათვალისწინებული ყველა სწავლის შედეგი და წარმოდგენილ იქნას შესაბამისი მტკიცებულებები.

20.7. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება საკვალიფიკაციო კომისიის სხდომის ოქმის სახით, რომელიც წარედგინება კოლეჯის დირექტორს. საკვალიფიკაციო კომისიის სხდომის ოქმი თავის მხრივ წარმოადგენს კვალიფიკაციის მინიჭების გადაწყვეტილების საფუძველს, რომელსაც კოლეჯის დირექტორი აფორმებს შიდა სამართლებრივი აქტის - ბრძანების სახით.

20.8. კომისიის ოქმის საფუძველზე დირექტორი გამოსცემს ბრძანებას შესაბამისი პროფესიული სტუდენტისათვის კვალიფიკაციის მინიჭების შესახებ.

20.9. კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანების განუყოფელი ნაწილია კომისიის სხდომის ოქმი.

20.10. დირექტორის მიერ გამოცემული აქტის საფუძველზე კოლეჯი ამზადებს და გასცემს შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს - დიპლომს, რომლის ნიმუშიც დამზადებულია მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი პირობების და პროცედურების დაცვით და შეთანხმებულია შესაბამის ორგანოებთან. კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომს ხელს აწერს კოლეჯის დირექტორი.

20.11. დიპლომის აღრიცხვის წესი განსაზღვრულია კოლეჯის საქმისწარმოების ერთიანი ინსტრუქციით.

### **მუხლი 21. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირების სასწავლო პროცესში ჩართვის წესი**

21.1. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სწავლებასა და სწავლის პროცესში ჩართულობას კოლეჯი უზრუნველყოფს ადაპტირებული სასწავლო გარემოთი, რაც გულისხმობს:

ა) კოლეჯის შენობაში შეღწევის შესაძლებლობას პანდუსის მეშვეობით;

ბ) დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლის გამოყოფას, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების შეუფერხებელი გადაადგილებისათვის კოლეჯის მთელ ტერიტორიაზე.

გ) კოლეჯის ადმინისტრაციის თანამშრომლის მიმაგრებას, რომელიც მოთხოვნის შემთხვევაში, უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის კომუნიკაცია-კონსულტაციას ყველა სტრუქტურულ ერთეულთან.

21.2. საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის კოლეჯის მიერ შემუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

21.3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება როგორც სახელმძღვანელო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად, განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო

საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - საგანმანათლებლო პროგრამის/მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით.

21.4 ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცედურები დეტალურად განისაზღვრება წინამდებარე დებულების მე-14 მუხლით.

## **მუხლი 22. სასწავლო მიზნებისათვის გამოყენებული მასალებისა და ნედლეულის შენახვისა და გამოყენების მექანიზმები**

22.1. მოდულურ პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობის, პროგრამაში შემავალი მოდულების მასალებისა და ნედლეულის ნაწილის გათვალისწინებით სამეურნეო და შესყიდვების სამსახური ახორციელებს მასალებისა და ნედლეულის შესყიდვას მოდულის დაწყებამდე და გადასცემს მოდულის განმახორციელებელ პირს.

22.2. თუ მოდულის პრაქტიკული მეცადინეობა ტარდება პრაქტიკის ობიექტზე კოლეჯი მასალებისა და ნედლეულის შეძენას იმ მოდულის ფარგლებში არ ახორციელებს, რადგან ამ ვალდებულების შესრულება ხელშეკრულებით/მემორანდუმით ევალება პრაქტიკის ობიექტს;

22.3. მასალებისა და ნედლეულის შეძენისას მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მათი ვარგისიანობის ვადა, მათი გამოყენების მომენტისათვის;

22.4. მასალებისა და ნედლეულის შენახვა ხორციელდება შენახვის წესების დაცვით;

22.5. მალფუჭებადი მასალები და ნედლეული ინახება შესაბამის მაცივრებში, ინსტრუქციაში აღნიშნული შენახვის წესის შესაბამისად.

22.6. სასწავლო წლის დასრულებისას სამეურნეო და შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი და ფინანსური სამსახურის ხელმძღვანელის მიერ ხორციელდება გახარჯული მასალებისა და ნედლეულის შესახებ ანგარიშგება კოლეჯის დირექტორის წინაშე.

## **მუხლი 23. მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვისა და განკარგვის წესი**

23.1. მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტი წარმოადგენს შეფასების მტკიცებულებას და ინახება კოლეჯში.

23.2. დოკუმენტაციის სახით არსებული პროდუქტი, როგორც შედეგი (მაგ: ტესტები, პროექტები, მოდულური პროგრამის განმახორციელებელი პირის დაკვირვები სფორმები და სხვა) ინახება შექმნიდან არანაკლებ შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიული სტუდენტებისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე, რის შემდეგაც ნადგურდება დადგენილი წესით.

23.3. პროდუქტი, რომელიც წარმოადგენილია ელექტრონული სახით უნდა ჩაიწეროს ინფორმაციის ციფრულ მატარებელზე და ინახება შექმნიდან არანაკლებ შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიული სტუდენტებისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე, რის შემდეგაც ნადგურდება დადგენილი წესით.

23.4. პროდუქტი, რომელიც წარმოადგენს მატერიალური სახის შემოქმედებით ნაშრომს (ნახატი, მაკეტი და სხვა) რჩება კოლეჯში საგანმანათლებლო მიზნებისათვის;

23.5. პროდუქტი, რომელიც წარმოადგენს მალფუჭებად საქონელს, უნდა დაფიქსირდეს ფოტო ან ვიდეო გამოსახულების სახით, რაც ინახება არანაკლებ შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხულ პროფესიული სტუდენტებისათვის კვალიფიკაციის მინიჭებამდე, შემდეგ ნადგურდება დადგენილი წესით ან რჩება კოლეჯში საგანმანათლებლო მიზნებისათვის;

23.6. სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქტის შენახვისას შესაძლებელი უნდა იყოს მისი შემქნელ(ებ)ის იდენტიფიკაცია.

#### **მუხლი 24. სასწავლო პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაცია**

24.1. სასწავლო მიზნებისათვის ორგანიზებულ ტექნოლოგიურ პროცესში წარმოშობილი ნარჩენების უტილიზაცია უნდა განხორციელდეს სახელმწიფო ორგანოების მიერ დადგენილი ნარჩენების უტილიზაციის წესების დაცვით ასეთის არსებობის შემთხვევაში. სხვა შემთხვევაში უტილიზაცია უნდა განხორციელდეს იმგვარად, რომ ზიანი არ მიადგეს გარემოს და გარშემო მყოფ პირებს;

24.2. ნარჩენების შეგროვებაზე და უტილიზაციაზე პასუხისმგებლობა ეკისრება კოლეჯის დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურს, სამეურნეო და შესყიდვების სამსახურის ჩართულობით.

24.3. ამ წესის მითითებული პირობების კონტროლი ეკისრება კოლეჯის დირექტორს, ხოლო პასუხისმგებლობა შესაძლო შედეგებზე ეკისრება სამეურნეო საკითხთა კოორდინატორს, მოდულის განმახორციელებელ პირს და ბუღალტერს;

#### **მუხლი 25. გარდამავალი დებულებები**

25.1. მოცემულ დებულებას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი ბრძანების გამოცემის გზით.

25.2. ცვლილებების განხორციელება შესაძლებელია დირექტორის მერ შესაბამისი ბრძანების გამოცემის გზით.

25.3 წინამდებარე დებულების ის მუხლები, რომლებიც უშუალოდ შეეხება საგნობრივ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე პროფესიულ სტუდენტთა მიღებას, ძალადაკარგულად გამოცხადდეს 2019 სასწავლო წლის მიღებისთვის და დროის ამ პერიოდიდან აიკრძალოს პროფესიულ სტუდენტის სტატუსის მინიჭება საგნობრივ პროგრამაზე.

25.4 25.3 მუხლი არ ვრცელდება იმ პროფესიულ სტუდენტებზე, რომლებიც 2019 წელს განახორციელებენ მობილობას, კოლეჯის მიერ განხორციელებულ საგნობრივ პროფესიულ პროგრამებზე.